საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №120/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- წარმომადგენლის -- -- 2020 წლის 26 ოქტომბრის №120 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №836/120-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის №120/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2015 წელს წარადგინა სარჩელი სასამართლოში, 5 წელია ელოდება სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ უშედეგოდ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2015 წლის 6 ივლისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხე - -- -- მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის, საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით (მოსამართლე -- --).

2015 წლის 17 ივლისს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. 2016 წლის 20 იანვარს - -- წარმომადგენელმა განცხადება წარადგინა სასამართლოში, სასამართლო სხდომის ჩანიშვნა და საქმის განხილვის გაჭიანურების ობიექტური გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ითხოვა.

2.2. 2016 წლის 1 აპრილს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 24 აპრილის განჩინებით მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 13 მაისს. სასამართლო სხდომები გაიმართა 13.05.2016; 01.03.2017; 26.04.2017; 16.07.2018; 27.08.2018; 31.10.2018; 29.11.2018; 04.03.2019; 01.04.2019; 03.06.2019.

2016 წლის 13 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ. 2016 წლის 13 მაისს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმეში მესამე პირად ჩაბმის თაობაზე.

2016 წლის 22 აგვისტოს -- -- დირექტორმა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებით მიმართა სასამართლოს. 2016 წლის 23 აგვისტოს განჩინებით -- -- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და მის შესავსებად დაევალა საჯარო რეესტრის ამონაწერის ახალი თარიღით წარდგენა. 2016 წლის 8 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსებით თაობაზე საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად.

2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებით -- -- დირექტორის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, -- -- აეკრძალა, --, -- ქუჩა №-- მდებარე, მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება.

2017 წლის 24 ივლისს და 2018 წლის 30 მაისს მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს სხდომის დანიშვნის თაობაზე, რადგან ვერ ხერხდება მოპასუხე მხარესთან მორიგება და შეთანხმების მიღწევა.

2018 წლის 16 ივლისის განჩინებით -- -- დირექტორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მხარეზე მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაერთნენ: -- --, -- --, -- --, -- -- და -- --.

2018 წლის 27 აგვისტოს განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა. 2018 წლის 27 აგვისტოს განჩინებით მოპასუხე -- -- წარმომადგენლებისა და -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეში -- -- მხარეზე მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაერთო -- --.

2.3. მოსამართლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სხვა სასამართლოში გადასვლის გამო 2019 წლის 25 სექტემბერს საქმის ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა. 2019 წლის 7 ოქტომბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის დანიშვნის დაჩქარების თაობაზე.

2.4. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადასვლის გამო 2020 წლის 19 თებერვალს საქმის ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა.

2.5. მოსამართლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე 2020 წლის 10 ივნისს საქმის ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა. 10.06.2020; 18.09.2020; 22.09.2020 მხარემ განცხადებით მიმართა სასამართლოს საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის თხოვნით.

2.6. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადასვლის გამო 2020 წლის 21 სექტემბერს საქმის ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით საქმე განსახილველად მოსამართლე -- -- გადაეცა. 2020 წლის 22 სექტემბერს მოსარჩელე მხარემ განცხადება წარადგინა სასამართლოში სასამართლო პროცესის პაექრობის ეტაპიდან ჩანიშვნასთან დაკავშირებით.

2020 წლის 29 ოქტომბერს მოსარჩელემ განცხდადებით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ საქმეზე და დაინიშნოს პროცესი.

2.7. 2020 წლის 7 დეკემბერს საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით გადაეცა მოსამართლე -- --.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 21 დეკემბრის დასკვნა:

-- -- წარმომადგენლის -- -- 2020 წლის 26 ოქტომბრის №120 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.“

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული სამი პირობის კუმულატიური არსებობა: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საპატიო მიზეზის არარსებობა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

საქმის განხილვის ვადა თუ იქნება არაგონივრულად ხანგრძლივი, უფლების დაცვა გაჭიანურდება და დაკარგავს ეფექტიანობას. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[2]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531
[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577

დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო). მოცემულ შემთხვევაში, პირველ რიგში აუცილებელია განისაზღვროს, თუ როდიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვის ვადის ათვლა - როგორც წესი საქმის განხილვის დაწყების თარიღად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს - სარჩელის/შესაბამისი განცხადების განსჯად/უფლებამოსილ სასამართლოში წარდგენის დროს (Poiss v. Austria, §50; Bock v. Germany, §35).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ. მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა სამოსამართლო უფლებამოსილების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

ამდენად, საქმის განხილვის ვადის დარღვევის გადაცდომის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს აღნიშნული საქმის მიმართ რა საპროცესო ვადას ითვალისწინებდა კანონმდებლობა და მოხდა თუ არა ამ ვადის გადაცილება. მოცემულ საქმეზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2020 წლის 21 სექტემბრიდან საქმეს განიხილავს მოსამართლე ---. აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა დაახლოებით 2 თვე, შესაბამისად საქმის განხილვის ხანგრძლივობა არ აჭარბებს კანონით დადგენილ ვადას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური

საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 8 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №120/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი